DOI: 10.67363/gs9bz2be

Rostom Chkheidze
Writer, Member of Parliament of
Georgia from 2020 onward

Like a Toll of the Heavenly Bells

(William Faulkner by Medea Zaalishvili)

(Abstract)

KEYWORDS: Biblical Inspiration, Prose Poems, Essays, Sketches, Short Stories, Mona Lisa, Age of Eternity, William Faulkner, Medea Zaalishvili

The cycle of prose poems and short stories known as "New Orleans Sketches" is steeped in biblical allusion. In 1925, several of William Faulkner's pieces under that title appeared in *The Double Dealer* magazine; these sketches revealed his genuine talent to readers and marked his first important advance into the wider field of American letters, a trajectory that would culminate in the vast Yoknapatawpha saga.

Early frustrations with his poetry collections gave way when the sketches were published, renewing Faulkner's determination to write. They fostered a firm conviction that he could succeed as a novelist even if poetry had not yet yielded his chief triumphs. Though he tried various forms, uncertain which would bring him success, he persevered.

Ultimately, Faulkner abandoned poetry for prose out of a sense of vocation, yet he retained a lyrical sensibility. Before turning fully to the novel, he explored prose poetry, taking cues from Charles Baudelaire's *Paris Spleen* (1869). The influence of

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

James Joyce's *Dubliners* (1914) and Sherwood Anderson's *Winesburg, Ohio* (1919) is also discernible: each offered stylistic experiments that reshaped Western short fiction, and Anderson's concentrated portrayals of a single town likely encouraged Faulkner to anchor his work in one county.

Like Joyce's stories, which often blur conventional plot in favour of rising emotion – exception being "The Dead" – Faulkner preferred lyricism to grand narrative and found his confidence in the liminal space between verse and prose. He believed this transitional prose-poetic mode, alongside a related essayistic voice, better displayed his gifts. His imagination, at once prodigious and tormenting, broadened his capacities beyond those apparent in his earliest writing. For Faulkner, New Orleans represented a crucial turning point: a city that opened new imaginative avenues and helped steer him toward the uncharted literary terrain in which he would ultimately secure his reputation.

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/gs9bz2be

როსტომ ჩხეიძე
მწერალი, საქართველოს მე-10 მოწვევის
პარლამენტის წევრი (2020-დან დღემდე)

ზეციურ ხართა რეკვად
(უილიამ ფოლკნერი მედეა ზაალიშვილის თარგმანში)

საკვანძო სიტყვები: ბიბლიური სუნთქვა, მინიატურა, ნოველა, ჩანახატი, მოთხრობა, მონა ლიზა, მარადიულობის ასაკი, უილიამ ფოლკნერი, მედეა ზაალიშვილი

აქ, სწორედ აქ უნდა დარეკილიყო ჩაბნელებულ ცაზე დიდრონ ვარსკვლავთა წყება ხმამაღალი ზარებივით. ისე ხმამაღლა, თითქოს, ოქროსზანზალაკშებმული ცხვრები ყოფილიყვნენ, რომელნიც ზეციურ გორაკზე ძოვდნენ.

ყოფით პეიზაჟში ასე უშუალოდ და ძალდაუტანებლად რომ შემოჭრილიყო ის იდუმალება, რაც მარადისობის სუნთქვას შეგაგრძნობინებდა, თითქოსდა, ბიბლიური ზეცა გადმომხობილა პერსონაჟთა თავზეო.

ან რაღა თითქოსდა...

ბიბლიური სუნთქვა უკვე უნდა შემოჭრილიყო მინიატურათა და ნოველების ამ ციკლში, „ნიუორლეანური ჩანახატების“[1] სახელწოდებით რომ უნდა გამოჩენილიყო ამერიკული ლიტერატურის მდინარებაში და მიეხვედრებინა მკითხველი, რომ რაღაც გამორჩეული დებიუტის მხილველი უნდა გამხდარიყო.

დებიუტისა, რასაც უნდა გაეჭრა საძირკველი იოკნაპატოფას საგის გრანდიოზული შენობისათვის;

და უილიამ ფოლკნერისთვისაც[2] უნდა ეგრძნობინებინა, რომ ნაადრევი იქნებოდა ხელის ჩაქნევა არცთუ წარმატებული პოეტური კრებულების გამოცემის შემდეგ და ხელმოცარული პოეტი, შესაძლოა, წარმატებული ნო-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ველისტი გამომდგარიყო; და თუკი აქაც მარცხი უნდა ეწვნია, რომანების დაწერას წინ რაღა დაუდგებოდა და, ეგებ, იქ მაინც... იქ მაინც...

პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა უფორიაქებდა გულსა და გონებას, და კიდეც მალევე შეაქცევინებდა ზურგს პოეტობისათვის. თუმც, მთლად ვერ გამოსცილდებოდა ლირიკულ ხილვებსა და ძიებებს და ნოველებზე გადასვლამდე მოსინჯავდა მინიატურის ჟანრს ანუ ლექსებს პროზად,[3] შარლ ბოდლერს[4] მძლავრად რომ დაეჩნია ხელი ამ ჟანრისთვისაც „პარიზის სპლინით“,[5] ოღონდ უილიამ ფოკნერის თვალსაწიერში მხოლოდ ეს ციკლი კი არ მოხვდებოდა, არამედ – და კიდევ უფრო მეტადაც – ჯეიმს ჯოისის[6] „დუბლინელებიც“,[7] უკვე ის კრებული რომ მოასწავებდა მკვეთრი სტილური ცვლილებების დასაწყისს დასავლური პროზის მდინარებაში.

და... შერვუდ ანდერსონის[8] „უაინსბურგი, ოჰაიო“[9] რატომ არა?

ცხადია, ისიც – ფონად ერთი ქალაქის ყოფით რეალობას რომ შემოხაზავდა, ამ წიგნსაც უნდა ეკარნახა მისთვის ამგვარი არჩევანი. თუმც, „დუბლინელები“ უფრო მახლობელი იმიტომაც აღმოჩნდებოდა ფოლკნერისათვის, რომ ნოველის კლასიკური სიუჟეტი აქ ჩაშლილიყო და წინ განწყობილებანი წამოწეულიყო, ეპიკურის ნაცვლად ლირიკულს ემძლავრა – გარდა ბოლო მოთხრობისა „მკვდრები“.[10] ფოლკნერისათვის ამ ეტაპზე ლირიზმი სჭარბობდა თხრობისას. ლექსისა და პროზის გასაყარზე უფრო საიმედოდ გრძნობდა თავს, ვიდრე ეპიკურ გარემოში; და იმედოვნებდა, ეს გარდამავალი ჟანრი უფრო გაუმართლებდა – მინიატურა და მინიატურას მიმსგავსებული ნოველა.

შევუდ ანდერსონის ნოველები კი კლასიკური აღნაგობისა გახლდათ და იქ მისაახლოებლად ფოლკნერს დრო ესაჭიროებოდა, დროც და... ხელმოცარვაც, რათა ჩა-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მოხსნოდა ლირიკულ ხილვებსა და წარმოსახვებს და ეპიკურობის საუფლოში ეძია თვითდამკვიდრების გზანი და საშუალებანი.

და თუ ჯეიმს ჯოისი შეეცდებოდა დუბლინი შემოეტანა დასავლურ ლიტერატურულ რუკაზე, უილიამ ფოლკნერს ახალი ორლეანის მხატვრული დამკვიდრება უნდა ეცადა 16 ნიმუშით მცირე პროზისა, ამ ქალაქს კურტიზანს რომ შეადარებდა, არც ისე ბებერს, მაგრამ არცთუ ისე ახალგაზრდას, რომელიც მზის სინათლეს ერიდებოდა, რათა ძველი დიდების ილუზია შეენარჩუნებინა.

მის სახლში სარკეებიც კი დაბინდულიყო და მათი ჩარჩოები – ფერგაცრეცილიყო, სახლი ბინდით მოცულიყო და სიძველე სილამაზეს ჰმატებდა.

ცხოვრობდა ამ საუკუნის გარდასულ და უფრო ლმობიერ ატმოსფეროში და მათი რაოდენობა, რომელთაც სტუმრად ღებულობდა, მცირე გახლდათ და ისინი მასთან მარადიული მწუხარებიდან მოდიოდნენ.

ყველა, ვინც მას ტოვებდა, ეძებდა არაყავისფერ, არაოქროსფერთმიან ქალწულებს. მის გათეთრებულ და გაყინულ მკერდზე არცერთი საყვარელი არ მომკვდარიყო და არც არავინ დაბრუნებულიყო მასთან, როდესაც ის იღიმოდა ოდნავ მთრთოლავი მარაოს მიღმა.

ისეთ იერს მოხაზავდა ახალი ორლეანისას, ბაბილონი გაგახსენდებოდა, უხსოვარი ჟამის მეძავი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი[11] ამ უძველესი ქალაქის ანალოგს პარიზში რომ ჰპოვებდა, უილიამ ფოლკნერი კი ამერიკულ გარემოს არ გასცილდებოდა და ახალ ორლეანში შთაინთქმოდა, მის იდუმალებასა და ანდამატურ ძალაში; და მოინდომებდა, რომ სწორედ ეს ანდამატური ძალა გაეხიარებინა მკითხველისათვის.

ჩაიკარგებოდა „ნიუორლეანური ჩანახატები“ იოკნაპატოფას[12] საგის საძირკველში, როგორც მწერლის შემოქმედების განვლილი ეტაპი და, უპირატესად, მკვლევ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რებს დასჭირდებოდათ, მისი პოეტური კრებულებისა არ იყოს... მაგრამ სულაც არ არის მცირე პროზის ეს ციკლი ასე იოლად გასამეტებელი და კვლავინდებურად ინარჩუნებს მადლსაც და სიცოცხლის მძაფრ უნარსაც.

მედეა ზაალიშვილი ამიტომაც მიიჩნევდა აუცილებლობად „ნიუორლეანური ჩანახატების“ შემოტანას ქართულ ენობრივ სივრცეში.[13]

და რომანის – „სული რომ ამომდიოდა“[14] – დიდებულ თარგმანს მინიატურებისა და ნოველების ამ სერიის დიდებულ თარგმანსაც შემატებდა, იმ ფოლკნერისა, რომლის სუნთქვაც უკვე ვეღარ ეტეოდა ლირიზმის არტახებში და ეპიკურ ნატეხებადაც მიმოიბნეოდა, უფრო მაინც ბოლო ნიმუშებში: „ტყუილების გუდა“ იქნებოდა თუ „ეპიზოდი“, „სოფლის თაგვები“ თუ „იო ჰო და ორი ბოთლი რომი“.

და ისე გადადიოდა ლირიზმი ეპიკურობაში, როგორც დრამატიზმი ტრაგიზმში, რომელთა სიღრმეებიც ჩანახატთა ციკლში უკვე მოისინჯებოდა და თავისებურ კარიბჭედაც გამოიკვეთებოდა, რომლის ზღურბლსაც მალე გადააბიჯებდა და ადამიანის სულის ყველა კუთხე-კუნჭულს მიმოივლიდა და მიმოიხედავდა. მიმოიხედავდა და ამოზიდავდა. თან ამოზიდავდა ისე, თვალს რომ მოჭრიდა მკითხველს. მიამიტს დააბნევდა და გამოცდილს კი თვალშეუდგამი სივრცეებისაკენ გაიტაცებდა.

გული კი ყოველთვისაც ეთანაღრებოდა: მშობლიური ენის წიაღში რიგიანად ვერადავერ შემიღწევია, გრამატიკაც კი ვერ შემისწავლია, როგორც წესიაო, – და მინიატურაში „ნაზარეველი“ ერთგვარ თვითირონიას გამოახვევდა, როდესაც პერსონაჟის ნაწერზე იტყოდა: გაუმართავი პუნქტუაციაა და ორთოგრაფიული შეცდომებიც არ აკლიაო.

თუმც, იქვე ერთი მეტად საგულისხმო ფრაზაც უნდა გაელვებულიყო:

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

– არის ერთი სიტყვა, რომელიც მე ვერ ამოვიკითხე. მაგრამ, თუ შევასწორებთ, ყველაფერი გაფუჭდება.

ნამდვილი ფოლკნერული ფრაზაა!..

შესაძლოა, ვერც კი ამოიკითხო ის სიტყვა, რომლის შესწორებაც წაახდენს თხრობის მდინარებას.

ვერ ამოიკითხო თუ... მის დაფარულ არსში ჩაწვდომას ეცადო?

ანდა:

მისი მეორე – ამ შემთხვევაში კი, პირველი და მთავარი – მნიშვნელობა გააცნობიერო?

და საერთოდაც, იმ იდუმალ გზასავალს გაჰყვე სიტყვებისა, ფოლკნერული შარავანდით რომ შემოსილან და იმ წარუვალს ასხივებენ, ზარების რეკვასავით რომ ჩაგვესმის, თითქოსდა, ღამეულ ცაზე ანთებულ დიდრონ ვარსკვლავთა ხმიანობააო; და მოგვალანდებს ოქროსზანზალაკშებმულ ცხვრებსაც, ზეციურ გორაკებზე რომ ძოვენ.

თითქოს, პერსონაჟს ალაპარაკებს, მაგრამ უნებურად თავის განწყობილებას გაგვიმჟღავნებდა, განწყობილებასაც და რწმენასაც, რომლის სიმტკიცის იმედადაც შეეხლებოდა თვით ბედისწერასაც:

– ჩემს გულში მოქცეულია ადამის მოდგმის ყოველგვარი ტკივილი, ვნება და მწუხარება; ჩემშია სიხარული, რომელიც სულს აღანთებს და მწუხარება, რომელიც სულს ამოსწვავს. მაგრამ „მე“ მწველი ფერფლი ვარ, რომლიდანაც ჩემი სიამოვნებისა და ტკივილის მემკვიდრენი ფენიქსის მსგავსად აღმოცენდებიან, რადგან ჩემი სისხლი ძველია, მაგრამ გამძლე.

ეს პასაჟიც ძალდაუტანებლად შეიძლება მივუსადაგოთ ავტორსვე: ცეცხლი, მემკვიდრეობით რომ ერგებოდა ნებით თუ უნებლიეთ, ავალდებულებდა, გამოეკვება ის ჭურჭელი, რომელიც ცეცხლს ატარებდა, საუბრითა და

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ახალგაზრდობით. მხოლოდ ასე თუ ამოსკდებოდა გულიდან თავისუფლების მოპოვების ყიჟინა.

და კიდეც უნდა მოჰყოლოდა რიტორიკული შეკითხვა: მათ, რომელთაც ეს ცეცხლი ასე გააჩნიათ, შეუძლიათ, შეიცნონ ქმნადობის სიხარულიო?

ეს ცეცხლი გადმოდიოდა ერთი ჩანახატიდან მეორეში, უფრო მეტისკენ რომ ეწეოდა ფოლკნერს, თუნდ ნოველისა არ იყოს: „მზის ჩასვლა“ – მცირე ფორმაში ვრცელი მოთხრობის, ან, ეგება, რომანისაც, მასალა რომ ჩაიწურებოდა... მაგრამ ჯერჯერობით ვერ აიყოლიებდა და მალევე შემოირკალებოდა თავისი ისტორიული ფესვების მაძიებელი ზანგის ამბავი, აფრიკისაკენ დაუოკებელ სწრაფვას რომ უნდა შესწირვოდა...

„ეპიზოდში“ კი უეცრად მონა ლიზას გამომეტყველებას უნდა გაეელვა, პერსონაჟის გარეგნული იერი რომ წამოაგონებდა მთხრობელს და ამ აფორისტულ ფრაზასაც უკარნახებდა:

– ეჰ, ქალები! მხოლოდ მათ აქვთ მარადიული ასაკი! მარადიულობას ხომ ასაკი არ გააჩნია.

ბორგავდა სული, მძაფრ წარმოსახვებში გამოხვეული, ჩანახატებში რომ ვეღარ ეტეოდა, მაგრამ მაინც მშვენელად მოვლენოდა ახალი ორლეანი, რომელსაც უნდა შეეგულიანებინა უილიამ ფოლკნერი შორეული და შორეულზე შორეული გზებისაკენ...

მარადიულობას კი... მარადიულობას ასაკი არ გააჩნია...

ლიტერატურა ▫ References

1. Faulkner, William (2002). *New Orleans Sketches*. Edited by Carvel Collins, Jackson, MS: University Press of Mississippi.
2. Millgate, Michael (2020, August 27). William Faulkner. *Britannica* [britannica.com/biography/William-Faulkner].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

3. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2016, December 1). prose poem. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/art/prose-poem].
4. Burton, Richard D.E. (2021, June 6). Charles Baudelaire. *Britannica* [britannica.com/biography/Charles-Baudelaire].
5. Baudelaire, Charles (2020). *Paris Spleen: Little Poems in Prose*. Translated by Keith Waldrop, Middletown, Connecticut: Wesleyan University Press.
6. Atherton, James Stephen (2022, January 9). James Joyce. *Britannica* [britannica.com/biography/James-Joyce].
7. Joyce, James (2014). *Dubliners: Centennial Edition*. Foreword by Colum McCann, New York, NY: Penguin Books.
8. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2021, July 25). Sherwood Anderson [britannica.com/biography/Sherwood-Anderson].
9. Anderson, Sherwood (2018). *Winesburg, Ohio: A Group of Tales of Ohio Small Town Life*. Asher Eden Publishing.
10. Joyce, James (2015). *The Dead*. Edited with explanatory notes by Thomas Fasano, Claremont, CA: Coyote Canyon Press.
11. Mizener, Arthur (2021, December 17). F. Scott Fitzgerald. *Britannica* [britannica.com/biography/F-Scott-Fitzgerald].
12. Yoknapatawpha is a fictional Mississippi county created by William Faulkner, who often referred to Yoknapatawpha as “my apocryphal county.” The word itself is derived from two Chickasaw words – Yocona and petopha, meaning “split land”. As William Faulkner explained, the compound meant “water flows slow through flat land” [Bracken, Haley (2019, July 3). The Sound and the Fury. *Encyclopedia Britannica* (britannica.com/topic/The-Sound-and-the-Fury-novel-by-Faulkner)].
13. ზაალიშვილი მედეა (2021). ნიუორლეანური ჩანახატები. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
14. ფოლკნერი უილიამ (2016). სული რომ ამომდიოდა. ინგლისურიდან თარგმნა მედეა ზაალიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)